საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარეს ბატონ **შალვა პაპუაშვილს**

ასლი: საქართველოს პარლამენტის
საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის
თავმჯდომარეს **ბატონ ნიკოლოზ**
სამხარაძეს (ცნობისათვის)

მოქალაქე **ნიკოლოზ ნიკოლაძის** პ/N
[redacted] მცხ.: [redacted]
[redacted] ტელ.: [redacted]

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ბატონო შალვა,

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 105-ე მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგენთ საკანონმდებლო წინადადებას **„საჯარო სამსახურის შესახებ“** საქართველოს კანონით რეგულირებულ იმ საკითხ(ებ)თან დაკავშირებით, რომლებთან მიმართებითაც ვფიქრობ, რომ საჭიროებს შემდომ დახვეწას.

დანართი:

- ✓ **საკანონმდებლო წინადადება** - საჯარო მოხელის საერთაშორისო ორგანიზაციებში დასაქმების შემთხვევაში მოხელეთა რეზერვში ჩარიცხვის შესახებ;
- ✓ საგარეო საქმეთა სამინისტროს 01/3332 07/02/2022 **წერილის** ასლი.

პატივისცემით,

საქართველოს პარლამენტის აპარატი
საქმისწარმოების დეპარტამენტი
შემოს.№ 1-15692/22
29 11 2022 ფურცელი 4

<u>საქართველოს პარლამენტს</u>

საკანონმდებლო წინადადება

საჯარო მოხელის საერთაშორისო ორგანიზაციებში დასაქმების შემთხვევაში
მოხელეთა რეზერვში ჩარიცხვის შესახებ

- **ცვლილების სახეობა:** „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ.

- **კანონის პროექტის მიღების დასაბუთება:** საქართველოს საგარეო საქმეთ მინისტრის მიერ 2021 წლის 17 სექტემბერს დამტკიცებული 01-172 დებულების[1] მე-6 მუხლის თანახმად, დეპარტამენტში შემავალ ერთ-ერთ სტრუქტურულ ქვედანაყოფს წარმოადგენს საქართველოს კანდიდატურების მხარდაჭერის სამმართველო, ხოლო მისი ფუნქციათაგანია:

  - ✓ საერთაშორისო ორგანიზაციებში საკონტრაქტო ვაკანსიებზე განაცხადების წარდგენის პროცესის კოორდინირება და მასში მონაწილეობის მისაღებად ტექნიკურ და პროცედურულ საკითხებზე შესაბამისი კონსულტაციის გაწევა;
  - ✓ საქართველოსთვის პრიორიტეტული მიმართულებების გათვალისწინებით და სამინისტროს ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით, იმ პოზიციებზე, რომლებისთვისაც <u>სახელმწიფო ახორციელებს თანადაფინანსებას,</u> **პროფესიული საჯარო მოხელეების** წარდგენის მიზანშეწონილობის განსაზღვრა; <u>შესაბამის კანდიდატთა წინასწარი შერჩევის პროცედურის განხორციელება</u>, კანდიდატთა წარდგენის პროცესისა და საჭიროებისამებრ, შესაბამისი კამპანიის დაგეგმვა და კოორდინირება;
  - ✓ ეუთოს საველე მისიებში, იმ პოზიციებზე, რომლებისთვისაც <u>სახელმწიფო ახორციელებს თანადაფინანსებას</u>, სამინისტროს ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით <u>საქართველოს მოქალაქეების წარდგენის მიზანშეწონილობის განსაზღვრა</u> და კანდიდატთა წარდგენის პროცესის კოორდინირება;
  - ✓ ევროკავშირის CSDP მისიებში მონაწილეობის კოორდინირება როგორც <u>**პროფესიული საჯარო მოხელეების**</u> მისიებში წარგზავნის უზრუნველყოფის, ასევე ზოგადად, საქართველოს მოქალაქეთა ევროკავშირის მისიებში საკონტრაქტო პოზიციებზე დასაქმების ხელშეწყობის ჩათვლით.

---

[1] 2021 წლის 17 სექტემბრამდე მოქმედი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 14/07/2007 109 ბრძანების შესაბამისად, საერთაშორისო ორგანიზაციების დეპარტამენტის ერთ-ერთ ფუნქციას წარმოადგენდა - საერთაშორისო ორგანიზაციებში კანდიდატების წარდგენასთან და არჩევნებში სხვა ქვეყნების კანდიდატების მხარდაჭერებთან დაკავშირებული საქმიანობის საერთო კოორდინაცია.

ამასთან, საგარეო საქმეთა სამინისტროს 01/3332 07/02/2022 წერილით, ყურადღებას იქცევს 2018-2021 წლებში საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ ნომინირებულ მოქალაქეთა რაოდენობა 981 იყო, რომელთაგან ეუთოში დასაქმდა 35 პირი. თუ გავითვალისწინებთ, რომ ხსენებულ სამინისტროში შესულ, საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გამოცხადებული ვაკანსიების სია (საკონტრაქტო პოზიცია, საექსპერტო პოზიცია, თუ სხვა მსგავსი ტიპის ინფორმაცია) ეგზავნება შესაბამის სახელმწიფო უწყებას/ებს, არაა გამორიცხული, რომ 981 პირთა შორის პროფესიული საჯარო მოხელეებიც ყოფილიყვნენ[2]. ამასთან, იმ შემთხვევაში თუ მოხელისათვის შევქმნით შესატყვის გარანტიებს საერთაშორისო ორგანიზაციებში დასაქმების მსურველ პირთა ინტერესი კიდევ უფრო მეტად გაიზრდება.

- **იდენტიფიცირებული პრობლემა, რომლის გადაჭრა საკანონმდებლო წინადადების მიზანია**: საერთაშორისო ორგანიზაციებში დასაქმების მსურველ მოხელეთათვის პროფესიული დაცულობის უქონლობა.

უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო ორგანიზაციები თამაშობენ მნიშვნელოვან როლს ქვეყნებისათვის, რათა გაზრდილ იქნეს მათი ეკონომიკური კეთილდღეობა, ხელი შეეწყოს სოციალურ განვითარებას და ადამიანის უფლებების დაცვას, დახმარება გაეწიოს ჰუმანიტარულ და გარემოს დაცვის სფეროში და უზრუნველყოფილ იქნას მშვიდობის დაცვა. შესაბამისად, ამ მიმართულებით საერთაშორისო ორგანიზაციებში დასაქმებულ პირებს უგროვდებათ არა მხოლოდ მოცემული მიმართულებით ცოდნა, არამედ პროექტების მართვისა და სახელმწიფოსთან კოორდინაციის უნარჩვევები. სავარაუდოა, რომ საქართველოს საგარეო საქმეთ მინისტრის მიერ 2021 წლის 17 სექტემბერს დამტკიცებული 01-172 დებულების მე-6 მუხლით გათვალისწინებული უფლებამოსილებები, სასარგებლო კონტაქტების დამყარებასთან ერთად, სწორედ ამ ცოდნით და გამოცდილებით საქართველოს მოქალაქეთა აღჭურვასაც უნდა უკავშირდებოდეს. მაშინ, როდესაც სახელმწიფო რესურს ხარჯავს იმისთვის, რომ ხელი შეუწყოს საქართველოს მოქალაქეთა საერთაშორისო ორგანიზაციებში დასაქმების პროცესს, ლოგიკური იქნებოდა თუ ეს პროცესი ხელს შეუწყობდა კვალიფიკაცია გაზრდილი პირების საჯარო სამსახურში უკან დაბრუნებას. მოხელეთა შენარჩუნების მნიშვნელობაზე ვფიქრობ, რომ ყურადღებას ამახვილებს საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის 54-ე მუხლის მე-6 პუნქტი, რომლის შესაბამისად იმ პირებს, რომელთა პროფესიული განვითარების პროგრამა დაფინანსებულია საჯარო დაწესებულების მიერ, მას პროგრამის დასრულებიდან 1 წლის განმავლობაში სამსახურიდან გათავისუფლების შესაძლებლობა ეზღუდება[3].

---

[2] 2018-2021 წწ. განმავლობაში, ეუთო-ს საველე მისიებში გამოცხადებული ვაკანსიებისთვის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსება არ გამოყოფილა;

[3] საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის 54-ე მუხლს მე-6 პუნქტს შესაბამისად თუ პროფესიული განვითარების პროგრამის ხანგრძლივობა 3 თვეს აღემატება და ეს პროგრამა საჯარო დაწესებულების მიერ ფინანსდება, მოხელესა და საჯარო დაწესებულებას შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე მოხელეს უფლება არა აქვს, საკუთარი ინიციატივით გათავისუფლდეს სამსახურიდან ამ პროგრამის დასრულებიდან 1 წლის განმავლობაში. ეს წესი არ მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუ მოხელე საჯარო დაწესებულებას აუნაზღაურებს მისი პროფესიული განვითარებისათვის გაწეულ ხარჯებს.

თუ არ ჩავთლით „დიპლომატიური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის 1-ელ და მე-2 პუნქტებს[4], საქართველოს კანონმდებლობით შესაბამისი მექანიზმები არ არის მოწესრიგებული. ამ ვითარებაში ასევე ყურადღება გასამახვილებელია პროფესიული განვითრების პროგრამებში მონაწილე საჯარო მოხელეთა ხელშეწყობა, რომელთაც „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 63-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მოხელეს უფლება აქვს, საჯარო სამსახურის სისტემის გარეთ არსებულ პროფესიული განვითარების პროგრამაში მონაწილეობისათვის:

- 5 წელიწადში ერთხელ ისარგებლოს შვებულებით არაუმეტეს 3 თვისა, თანამდებობრივი სარგოს და საკლასო დანამატის შენარჩუნებით,
- ან/და შვებულებით არაუმეტეს 1 წლისა, თანამდებობრივი სარგოს და საკლასო დანამატის შენარჩუნების გარეშე.

ამას გარდა კანონის 54-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, მოხელეს უფლება აქვს, დამატებით თავადაც განსაზღვროს მისი პროფესიული განვითარებისათვის აუცილებელი სასწავლო პროგრამის საჭიროება და საჯარო დაწესებულებასთან შეთანხმებით მოითხოვოს შესაბამისი შვებულება ამ კანონით დადგენილი წესით, საყურადღებოა, რომ 63-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, მოხელე, რომლის პროფესიული განვითარების პროგრამის ხანგრძლივობა აღემატება ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შვებულების ვადას, თავისუფლდება თანამდებობიდან და მისი სურვილის შემთხვევაში მოხელეთა რეზერვში ირიცხება[5]. ამ შემთხვევაში მოხელის მოხელეთა რეზერვში ყოფნის ვადა აითვლება შესაბამისი პროფესიული განვითარების პროგრამის დასრულებიდან. იმ ვითარებაში, როდესაც სახელმწიფო თავად უწყობს საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს მოქალაქეთა, მათ შორის საჯარო მოხელეთა დასაქმების პროცესს, ასევე, სახელმწიფო პოლიტიკას წარმოადგენს საზღვარგარეთ საქართველოს მოქალაქეთა დროებითი დასაქმების ხელშეწყობაც კი, კვალიფიცირებულ მოხელეთა საჯარო სამსახურში უკან დაბრუნების პროცესის ხელშეწყობის მიზნით, ლოგიკური იქნებოდა, რომ საერთშორისო ორგანიზაციებში დასაქმებულ საჯარო მოხელეებზე გავრცელდეს[6] ანალოგიური

---

[4] დიპლომატიური თანამდებობის პირი, სახელმწიფოებრივი საჭიროების შემთხვევაში, სამუშაოდ მივლინებული იქნება საერთაშორისო ორგანიზაციაში, **ირიცხება დიპლომატიური სამსახურის რეზერვში** და შესაბამისი უფლებამოსილების ვადის გასვლის შემდეგ **შეიძლება დაინიშნოს დიპლომატიურ სამსახურში შესაბამის თანამდებობაზე.** მას უნარჩუნდება დიპლომატიური რანგი, სარგებლობს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შეღავათებით და შესაძლებელია წარდგენილ იქნეს მორიგი დიპლომატიური რანგის მისანიჭებლად

[5] „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 105-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მოხელეთა რეზერვში ირიცხება ასევე მოხელე, რომელიც პროფესიული განვითარების პროგრამაში მონაწილეობის მიზნით თავისუფლდება თანამდებობიდან.

[6] "საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საჯარო მოსამსახურეს, გარდა საქართველოს პრეზიდენტისა, საქართველოს პარლამენტის წევრისა და საქართველოს მთავრობის წევრისა, უფლება არა აქვს, ასრულებდეს რაიმე ანაზღაურებად სამუშაოს (გარდა სამეცნიერო, პედაგოგიური, შემოქმედებითი ან თავდაცვის ძალების რეზერვში საქმიანობისა). საჯარო

პირობები, რაც „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 63-ე მუხლის მე-4 პუნქტით (სურვილის შემთხვევაში მოხელეთა რეზერვში ჩარიცხვა) არის გათვალისწინებული. შესაბამისად, მიზანშეწონილია, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 105-ე მუხლის (მოხელეთა რეზერვი) მე-2 პუნქტი დარედაქტირდეს შედმეგი ფორმით:

- ✓ „მოხელეთა რეზერვში ირიცხება ასევე მოხელე, რომელიც პროფესიული განვითარების პროგრამაში მონაწილეობის მიზნით <u>ან საერთაშორისო ორგანიზაციებში დასაქმების გამო</u> თავისუფლდება თანამდებობიდან“.

- ❖ **კანონპროექტის მიზანი:** კანონის პროექტის მიზანია საერთაშორისო ორგანიზაციებში დასაქმებულ საქართველოს მოქალაქეთა უკან საჯარო საჯარო სამსახურში დაბრუნების მექანიზმების შემუშავება.

- ❖ **კანონის პროექტის ძირითადი არსი:** კანონის პროექტის თანახმად, კანონის 105-ე მუხლის მე-2 პუნქტს დარედაქტირდება, რომლის შესაბამისად მოხელეთა რეზერვში, გარდა პროფესიული განვითარების პროგრამებში მონაწილეობის მიზნით სამსახურიდან გათავისუფლებული პირებისა, საერთაშორისო ორგანიზაციებში დასაქმებული საჯარო მოხელეების ჩარიცხვაც მოხდება.

- ❖ **საკანონმდებლო წინადადების ავტორი:**

საქართველოს მოქალაქე **ნიკოლოზ ნიკოლაძე**, პირადი ნომერი [redacted]
მცხ.: [redacted] საფოსტო ინდექსი [redacted]
ელ. ფოსტა: [redacted]; მობ.: [redacted]

28/11/2022



მოსამსახურეს უფლება არა აქვს, ეკავოს სხვა თანამდებობა რომელიმე საჯარო დაწესებულებაში (გარდა თავდაცვის ძალების რეზერვისა) ან კერძო სამართლის იურიდიულ პირში, ან იყოს ნებისმიერი დონის წარმომადგენლობითი ორგანოს წევრი, ან ასრულებდეს რაიმე ანაზღაურებად სამუშაოს ან ეკავოს რაიმე თანამდებობა სხვა ქვეყნის ორგანოში ან დაწესებულებაში. საჯარო მოსამსახურის მიერ შეთავსებით ანაზღაურებადი სამუშაოს შესრულება დასაშვებია მხოლოდ იმავე საჯარო დაწესებულების სისტემაში.

საქართველო

3332-01-2-202202071340

საგარეო საქმეთა სამინისტრო

№ 01/3332
07/02/2022

მოქალაქე **ნიკოლოზ ნიკოლაძეს**

(მის: [redacted]

ელ.ფოსტა: [redacted]

ბატონო ნიკოლოზ,

თქვენი 2022 წლის 22 იანვრის განცხადების პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

- საერთაშორისო ორგანიზაციებში არსებული საკონტრაქტო ვაკანსიების შესახებ ინფორმაცია არის საჯარო, რომლის ხილვა შესაძლებელია ონლაინ (მაგ.: https://vacancies.osce.org/; https://unjobs.org/). შესაბამისად, საქართველოს მოქალაქეებს საშუალება აქვთ ღია წყაროების მეშვეობით მოიძიონ ინფორმაცია არსებული ვაკანსიების თაობაზე და თავად შეიტანონ განაცხადი მათთვის სასურველ ვაკანსიაზე, საგარეო საქმეთა სამინისტროს კოორდინაციის და/ან მხარდაჭერის გარეშე. მოქალაქის მომართვის შემთხვევაში, საგარეო საქმეთა სამინისტრო ერთვება განმცხადებლისთვის ტექნიკური დახმარებისა და კონსულტაციების აღმოჩენის პროცესში.
- 2018-2021 წწ. განმავლობაში, ეუთო-ს საველე მისიებში გამოცხადებული ვაკანსიებისთვის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსება არ გამოყოფილა. შესაბამისად, საქართველოს სახელით ეუთო-ში აქამდე წარგზავნილი პირები დაფინანსდნენ ეუთო-ს ბიუჯეტიდან. ეუთო-ს საველე მისიებში გამოცხადებული ვაკანსიები საჯაროა და მისი ხილვა შესაძლებელია შემდეგ ვებგვერდზე: https://vacancies.osce.org. შესაბამისად, ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია მოიძიოს ინფორმაცია ვაკანსიის შესახებ და შეიტანოს განაცხადი. მოქალაქის მიერ განაცხადის გაკეთების შემდეგ, ეუთო-ს მომართვის საფუძველზე, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ახორციელებს განმცხადებლის/ების ნომინირებას, რის შემდეგაც ეუთო განიხილავს

განცხადებებს და იღებს გადაწყვეტილებას. აქვე წარმოგიდგენთ სამინისტროს მიერ ნომინირებული საქართველოს მოქალაქეების თაობაზე სტატისტიკას:

	სამინისტროს მიერ ნომინირებული კანდიდატების რაოდენობა	ეუთოს მიერ შერჩეული კანდიდატების რაოდენობა
2018	259	14
2019	230	6
2020	285	7
2021	207	8

-

- სამინისტროში შემოსული, საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გამოცხადებული ვაკანსიების სია (საკონტრაქტო პოზიცია, საექსპერტო პოზიცია, თუ სხვა მსგავსი ტიპის ინფორმაცია) ეგზავნება შესაბამის სახელმწიფო უწყებას/ებს. ასევე, მიმდინარეობს მუშაობა საერთაშორისო ორგანიზაციებში გამოცხადებული ყველა რელევანტური ვაკანსიის შესახებ ინფორმაციის სამინისტროს ვებგვერდზე განთავსებასთან დაკავშირებით, რათა საქართველოს მოქალაქეებმა ერთ სივრცეში შეძლონ ინფორმაციის მოძიება.

პატივისცემით,
თეა ლეკვეიშვილი

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი
იურიდიულ საკითხთა და პარლამენტთან ურთიერთობის დეპარტამენტი